ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

30 ნოემბერი - 12 დეკემბერი 2015 წელი №22 №8104 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

85-ე წელია ჩვენი გზაჯვარედინიწერს, ვგლოვობს, ინახავს ჩვენის ოცდაშვიდ ოქტომბერს, ბასრეს ვინ იცის ოქროს ფერადს, ჯმნის ჩვენი ცხოვრების შეფოთვებიერ მეცხინეს ... გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახლით ჩვენი მკითხველი

ეროვნული ფასეულობა ეროვნულ ფასეულობად

ეროვნული ფასეულობა ეროვნულ ფასეულობად

ეროვნული ფასეულობა ეროვნულ ფასეულობად

საკრებულოს მორიგი სხდომა

2015 წლის 20 ნოემბერს გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომაზე განიხილეს საკითხები: კასპის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ - კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე

წინადადებით შევიდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი.

მეორე საკითხად წარმოდგენილი იყო კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება თანდართული ფორმის მიხედვით.

საკრებულოს დეპუტატები სხდომაზე სოციალური პაკეტის გაზრდის მოთხოვნით გამოვიდნენ. მუნიციპალტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში სოციალური პაკეტის ხარჯები თუ არ არის საკმარისი, წლის განმავლობაში ის მიზნობრივად იზრდება.

საკრებულომ მიიღო დადგენილება კასპის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

სტიქია კასპში

12 ნოემბერს კასპის მუნიციპალიტეტს ძლიერმა ქარმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები მოინახულა.

2015 წლის 13 ნოემბრის კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის №1901 ბრძანებით, 2015 წლის 12 ნოემბერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსული ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად მიყენებული ზიანის აღრიცხვის მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი - კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ხიზანაშვილის ხელმძღვანელობით.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ადგილზე შეისწავლეს და აღწერეს სტიქიისგან დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობა და მიიღეს გადაწყვეტილება დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების შესაკეთებლად საჭირო საშენი მასალებით დახმარების შესახებ.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაზარალებულ ოჯახებს ხის მასალა და შიფერი გადასცა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ნიგოზასა და ჩობალაურში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია



გრძელდება კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზასა და სოფელ ჩობალაურში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, სატუმბი სადგურის მოწყობა, სოფელ სამთავისში არსებული სატუმბი სადგურის რეკონსტრუქცია და გამრიცხველიანების სამუშაოები, რომელიც 4 სოფლის: ნიგოზას, ჩობალაურის, ზემო და ქვემო რენეს მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდებას გაუუმჯობესებს. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 283 770 ლარია. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ნდს მშენებლობა" ახორციელებს. ხელშეკრულების თანახმად სამუშაო 2015 წლის ბოლოს დასრულდება.

დავეხმაროთ დათა ხოდელს - საქველმოქმედო კონცერტი

20 ნოემბერს, კასპის კულტურის ცენტრში 9 თვის დათა ხოდელის მკურნალობის დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია - კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდა სოფელ აღაიანის კლუბთან არსებული ბავშვთა ხალხურ საკრავთა ანსამბლი "თხოთი," კასპის მუნიციპალიტეტთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი," საესტრადო სიმღერების შემსრულებლები: ხათუნა ხაჩიძე, თათია ხორგუაშვილი, სალომე მასიკაშვილი და სხვები.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა პატარა დათას ბებიას საჩუქრად ხატი გადასცა და გამოჯანმრთელება უსურვა.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის სს "კასპიელექტროაპარატის", სს "ნატურალპროდუქტი"-ს, სს "მეტეხის კერამიკის", სს "ჰაიდელბერგცემენჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხნის, შპს "ეკოცემენტის" ხელმძღვანელებს, ი/მ "მალხაზ ჯოჯიშვილს" და იმ საჯარო მოხელეებს, რომელთაც წვლილი შეიტანეს დათა ხოდელის დახმარებაში.

ღონისძიება ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით.

დეპუტატის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

"2015 წლის განვლილი პერიოდი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით იყო დატვირთული. შეუქცევადი გახდა საქართველოს დემოკრატიული განვითარება - რასაც აღიარებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია. აშკარა წინსვლა გვაქვს ქვეყნის საერთო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით - ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, დასრულების ფაზაშია ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმებისა და ვიზალიბერალიზაციის პროცესი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. გამოვყოფდი ამ მიზნით საქართველოში ჩატარებულ იბიარდისა და აბრეშუმის გზის გრანდიოზულ ბიზნესფორუმებს, ამ მხრივ საქართველო ყალიბდება როგორც რეგიონალური ჰაბი. აღნიშნულზე მეტყველებს მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილი თუ მიმდინარე მილიარდიანი და მრავალმილიონიანი ინფრასტრუქტურული პროექტები: ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტი - სამეგრელოში (იდება 900 მილიონი დოლარის ინვესტიცია), 280 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური „ნესკრაჰესი-სვანეთში (1,2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია), ჰესების კასკადი მდინარე აჭარის წყალზე - მაღალმთიან აჭარაში (700 მილიონი დოლარის ინვესტიცია), ადგილობრივ ქვანახშირზე მომუშავე 150 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგური - ტყიბულში (200 მილიონი დოლარის ინვესტიცია), რიკოთი-ზესტაფონისა და სამტრედია - გრიგოლეთის ავტობანები - იმერეთსა და გურიაში, თბილისის შემოვლითი რკინიგზა (300 მილიონი დოლარის ინვესტიცია), ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი (500 მილიონი ევროს ინვესტიცია), პანორამა თბილისი (500 მილიონი დოლარის ინვესტიცია) და ა.შ. აქვე მოგაწვდით ინფორმაციას კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. თეძამზე 46 მილიონი ლარის ღირებულების 2 მეგავატი სიმძლავრის ჰესის მშენებლობის შესახებ, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კასპის ეკონომიკის განვითარების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებისათვის. მიღწევებთან ერთად არის გარე და შიდა ფაქტორებით განპირობებული გამოწვევებიც, რაც აფერხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. პირველ რიგში ეს გამოწვევებია სიღარიბე და უმუშევრობა, რაც თავის მხრივ განპირობებულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით. მთავარი გარე ფაქტორებია: 1. დოლარის კურსის მნიშვნელოვანი გამყარება თითქმის ყველა ეროვნულ ვალუტასთან, მათ შორის ლართან მიმართებაში, რამაც გამოიწვია იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასების ზრდა, ასევე მოსახლეობის მიერ დოლარში აღებული საბანკო სესხების გაძვირება; 2. ღრმა ეკონომიკური კრიზისი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში - რუსეთში, უკრაინასა და საბერძნეთში, რასაც მოჰყვა სავალუტო გადმორიცხვების მკვეთრი შემცირება ამ ქვეყნებიდან.

მოგეხსენებათ ამ ქვეყნებში მილიონზე მეტი ჩვენი მოქალაქეა დასაქმებული და აქ დარჩენილი მათი ოჯახებისათვის მათ მიერ გადმორიცხული თანხები არსებობის ერთადერთი წყაროა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მძიმედ აისახა ისედაც მცირეშემოსავლიან ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის ყოფაზე და მათ შორის კასპელებზეც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის დადებითი ცვლილებები რაც განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსის მიღებით. ესაა პირველ რიგში 50%-იანი ბარიერით უშუალოდ ხალხის მიერ არჩეული გამგებელი, გაცილებით მეტი უფლებებითა და მოსახლეობის წინაშე მეტი ვალდებულებებით. აღნიშნულმა ცვლილებამ გამგებლის თანამდებობა დაქირავებული მოხელიდან აქცია პოლიტიკურ თანამდებობის პირად.

საკრებულოსა და გამგეობის მოხელეები თანამდებობებზე დაინიშნენ ღია და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე; საკრებულოს სხდომები ღიაა მოსახლეობისა და მედიისათვის. მისასალმებელი ინიციატივა გაჟღერდა საკრებულოს პირველივე სხდომაზე, საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ პრემიებზე უარის თქმის შესახებ, თუმცა სამწუხაროდ, ეს ინიციატივა შემდგომში მხარდაჭერილი არ ყოფილა და ვერ განხორციელდა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საშვილიშვილო საქმე რაც განვლილ პერიოდში გამგეობასთან ერთად გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიამ და რაშიც მეც, როგორც ქ. კასპის მაჟორიტარი დეპუტატი და კომისიის წევრი აქტიურად ვიყავი ჩართული, იყო ქალაქ კასპის ალური გეგმა არ გააჩნია შიდა ქართლის არც ერთ მუნიციპალიტეტს. გეგმა დაამუშავა ტენდერში გამარჯვებულმა გეოგრაფიკის საკონსულტაციო ცენტრმა. გაწეული სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 37 000 ლარი დაიხარჯა.

საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა ინფრასტრუქტურის კომისიის 12 სხდომა. განხილულ იქნა მრავალი განცხადება, რომელთაგან გამოვყოფ ქალაქ კასპის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ: ქ. კასპში მდებარე ე.წ. მასწავლებელთა საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, მათი კორპუსის გაზიფიცირების თაობაზე. როგორც ქ. კასპის მაჟორიტარი დეპუტატი და კომისიის წევრი აქტიურად ვიყავი ჩართული აღნიშნული საკითხის მოგვარებაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი მქონდა როგორც კორპუსის მაცხოვრებლებთან, ისე "კასპიგაზი-"ს ხელმძღვანელებთან და მიუხედავად გარკვეული ხელშემშლელი გარემოებების არსებობისა აღნიშნული პრობლემა მოგვარდა.

ასევე განვიხილეთ ქ. კასპის ტერიტორიულ ერთეულში შემავალ სადგურ კავთისხევში მდებარე ორი საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებელი კოლექტიური განცხადება მათი კორპუსების ავარიული სახურავების შეკეთების თაობაზე. აღნიშნული საკითხი პირადად შევისწავლე და ჩემი ინიციატივით დავაყენე სახურავების ..... საკითხი ჯერ კომისიის, ხოლო შემდგომ საკრებულოს სხდომაზე. თუმცა ბიუჯეტში სათანადო თანხების წინასწარ გაუთვალისწინებლობის მოტივით მუნიციპალიტეტი დაგვპირდა სათანადო თანხის სამომავლოდ მოძიებას და პრობლემის ეტაპობრივად მოგვარებას. მე ამ საკითხს როგორც დეპუტატი ბოლომდე მივყვები.

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე განვიხილეთ განცხადება, კერძოდ, ერთ-ერთი კომპანია ითხოვდა ქალაქის ცენტრში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით შესყიდვას მასზე კასპის განაშენიანების გენერალურ გეგმასთან შეუსაბამო ნაგებობის აშენების მიზნით, რომელ

*დასასრული გვ4.

31 ოქტომბერს ჯასჰის გიმნაზიაში შეიკრიბნენ ჯასჰის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს, ორასამთავრობოებისა და ახალგაზრდულ საკრებულოს წარმომადგენლები, ქალაქის საჯარო სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, მედიისა და ეკლესიის წარმომადგენლები, რიგითი ამომრჩევლები. შეკრებილთა წინაშე ვრცელი ანგარიშით გაწეული მუშაობის შესახებ გამოვიდა საკრებულოს წევრი, ქალაქ ჯასჰის მაჟორიტარი დეპუტატი ალექსანდრე გბირაშვილი. მან თავის გამოსვლაში აღრაღლება გაამახვილა რიგორც ქვეყანაში, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აღნიშნა რიგორც წარმატებები, რომელსაც მიაღწია მუნიციპალიტეტმა საანგარიშო პერიოდში, ითქვა აგრეთვე იმ გამოწვევებსა და ნაკლოვან მხარეებზეც, რომელსაც ადგილი ჰქონდა განვლილ პერიოდში. დეპუტატმა თავის ანგარიშში აღნიშნა საკითხზე ისაუბრა, კერძოდ, პირადად მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, რიგორც საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრის, ასევე ჯასჰის მაჟორიტარი დეპუტატის რანგში. დამსწრე საზოგადოებას მან წარუდგინა განხორციელებული და დაგეგმილი სოციალური და ინფრასტრუქტურული საამუშაოების სტატისტიკა და დაწვრილებით ისაუბრა ამ ჭრილში ეკონომიკის შესახებ, ასევე აღნიშნა, რომ ჭრობლემების ადგილზე გაცნობისა და საკითხების დეტალურად შესწავლის მიზნით ჭერმანენტულად ეწყობა მოსახლეობასთან შეხვედრები და განაუბრება.

დეპუტატმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ვიზუალური მასალა საანგარიშო ჭრილში განხორციელებული ჯანდაცვის, სოციალური და ინფრასტრუქტურული ჭრილის შესახებ, დიაგრამების სახით გაცნო კონკრეტულ ჯანდაცვით თუ სოციალურ ჭრილებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ბრალის წენდენციები...

დეპუტატს ერთასაათიანი ჭრეზენტაცია და განვლილ ჭრილში მის მიერ გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა დამსწრე საზოგადოებამ. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ჯასჰის მუნიციპალიტეტის გამგეობელი გოჩა გოჩიტაშვილი, ქალაქის მკვიდრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორქივის მეორე განყოფილების უფროსი ვანო ჯახუა, სამართალმცოდნეობის დოქტორი, ჭოფესორი ირმა მერებაშვილი, ჯასჰის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი ოლია მახარაძე, მესამე საჯარო სკოლის დირექტორი მარინა ქინიაშვილი. ჭრეზენტაციას უძღვებოდა ჯასჰის გიმნაზიის სამოქალაქო განათლების საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, ჰელგაგი ნინო ნიჰარიშვილი.

გთავაზობთ ამონარიდს დეპუტატის გამოსვლიდან:

დეპუტატის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

***დასასრული**

იც ჩემი აქტიური ჩართულობით, კომისიისა და საკრებულოს ერთობლივი გადაწყვეტილებით კომპანიას თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. ზემოთმოყვანილი განცხადებების შესწავლა და მასზე რეაგირება როგორც კომისიის წევრს და როგორც დეპუტატს პერმანენტულად მიხდება.

როგორც წინა საარჩევნოდ, ისე არჩევნების შემდგომ, მოსახლეობასთან არაერთი შეხვედრის დროს საფუძვლიანად გავეცანი იმ პრიორიტეტებსა და საჭიროებებს, რაც გააჩნია ქალაქ კასპის მოსახლეობას. ამ საჭიროებების გათვალისწინებით იყო შედგენილი როგორც ჩემი, ისე ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამა, შესაბამისად ავტორთა მიერ ბიუჯეტის პროექტის შედგენისას თავიდანვე შეძლებისდაგვარად იქნა გათვალისწინებული ჩემი ინიციატივების ის ნაწილი, რომელიც მე პირადად მიმაჩნდა ქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებად, რის გამოც ჩემი მხრიდან შემდგომში აქტიურად იყო მხარდაჭერილი და საკრებულოს მიერ დამტკიცებული კასპის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი.

შედარებისათვის უნდა აღვნიშნო, რომ 2015 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მხოლოდ საკუთარი შემოსავლები თითქმის 2011 წლის მთლიანი ბიუჯეტის - 8 641 000 ლარის ტოლია. როგორც დინამიკაში კარგად ხედავთ - პროგრესი სახეზეა.

2015 წლის ბიუჯეტმა ჩემი მხარდაჭერა იმიტომაც დაიმსახურა, რომ იგი ორიენტირებულია ჩვენი მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებზე, რისთვისაც გამოყოფილია 230 000 ლარი, რაც 30 000 ლარით მეტია გასულ წელთან შედარებით.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ უშუალოდ ქ. კასპში 2014-2015 წლებში იმაზე გაცილებით მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, ვიდრე ოდესმე.

კასპი პატარა ქალაქია, ყველაფერი ხელისგულზეა და ყველა ყველაფერს ისედაც ხედავს. რაც შეეხება მე, როგორც ქ. კასპის მაჟორიტარ დეპუტატს და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრს, მევალებოდა კიდეც და ჩემი ინიციატივითაც აქტიურად ვიყავი ჩართული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაში. როგორც იტყვიან საძირკველის გაჭრიდან სახურავის დახურვამდე, ვამოწმებდი გაწეული სამუშაოების ტემპებსა და ხარისხს. იყო შემთხვევები, როდესაც უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო კომპანიები დაჯარიმდნენ და ხელმეორედ მოუწიათ სამუშაოების შესრულება.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საკრებულოსა და გამგეობას სახელდების საკითხებზე ჩემი რამდენიმე ინიციატივის მხარდაჭერისათვის, კერძოდ ქ. კასპის ერთერთი ცენტრალური - გორის ქუჩისათვის ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის გენერალ მაზნიაშვილის სახელის მინიჭების, ქალაქის ცენტრში მდებარე სკვერისთვის "26 მაისის სახელობის სკვერის," ხოლო მიკრორაიონის გადასახვევთან მდებარე სკვერისათვის გვარდიის კასპის ბატალიონის სახელის მინიჭების თაობაზე (როგორც გამგეობიდან მაცნობეს დოკუმენტაცია გადაგზავნილია თბილისში სახელდების საკითხთა კომისიაში და ველოდებით დადებით პასუხს).

ამასთან ერთად გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი არაერთი ინიციატივა, რომელიც მომდინარეობს ქ. კასპის მოსახლეობის სურვილებიდან თუ საჭიროებებიდან და რომელთაც როგორც საკრებულოს, ისე გამგეობის მხრიდან დადებითი შეფასება მიიღეს, იმის გამო, რომ 2015 წლის ბიუჯეტში ასახვა ვერ ჰპოვეს, ვერ განხორციელდა. თუმცა, ვაპირებ პრიორიტეტულობის გათვალისწინებით 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას მოვახერხო ამ ინიციატივათა ბიუჯეტში ასახვა. ეს ინიციატივებია:

1. კასპში არსებული სასაფლაოების შემოღობვა;
2. ფეხბურთის სტადიონის აშენება და გუნდის აღდგენა;
3. რაგბის სექციის ჩამოყალიბება (სპეციალისტების მოწვევა);
4. მატარებლის პრობლემა (არ ჩერდება კასპში);
5. შსს შუამდგომლობის დაყენება პოლიციის ახალი შენობის აშენებაზე ქალაქის შემოსასვლელში (ე.წ. რაიკომის ყოფილი დაუმთავრებელი შენობის ტერიტორიაზე) და არსებულის დაბრუნება მუნიციპალიტეტისთვის;
6. საბინაო ამხანაგობები;
7. მაწანწალა ძაღლების პრობლემა, რომელიც დღემდე გადაუჭრელი რჩება და რაც ქალაქის მოსახლეობას ძალიან აწუხებს;
8. იუსტიციის სამინისტროს შევთავაზოთ საზოგადოებრივი ცენტრის აშენება ქალაქში, სადაც ერთი ფანჯრის პრინციპით ერთ სივრცეში ექნებათ კასპელებს მომსახურების საშუალება;
9. გარე ტრენაჟორების საკითხის მოგვარება."

სასწავლო ვიზიტი პოლონეთში

2015 წლის მაისში საქართველოს სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის გამოცხადდა კონკურსი, რომელიც პროექტის დაწერას, პოლონელი ტრენერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და სასწავლო ვიზიტს შეიცავდა. საქართველოს მხრიდან პროექტს ახორციელებდა მეგობრობის ხიდი „ქართლოსი„ ხოლო პოლონური მხრიდან ევროპული ცენტრი და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

პირველი ეტაპი პედაგოგთა მიერ შემუშავებულ პროექტებს შეიცავდა, რომლის ფარგლებში აირჩიეს 20 პედაგოგი. შემდეგ იყო გამოცდილი გუნდის მიერ განხორციელებული ტრენინგები, რომელსაც 4 კვალიფიციური პოლონელი ექსპერტ ტრენერი უძღვებოდა სამი დღის განმავლობაში. ყოველი კვირის შაბათ დღეს პროექტის მონაწილეებს ჰქონდათ 4 საათიანი ონლაინ სემინარი პოლონელ ტრენერებთან, განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა სკოლების თვითმმართველობა, ეკოლოგია, გენდერი, ადამიანის უფლებები, ბულინგი ...

საბოლოო შედეგებით გამოვლენილმა ჯგუფმა პოლონეთში ერთკვირიანი სთადი ვიზიტი გაიარა. საუკეთესო 12-ეულში შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის პედაგოგი ნინო ნიპარიშვილი მოხვდა.

პოლონეთში ვიზიტის შესახებ გვესაუბრება ნინო ნიპარიშვილი.

„ადამიანის ცხოვრებაში არსებობს საუკეთესო თარიღები. ჩემს ცხოვრებაში 2015 წლის 3-9 სექტემბერი უბედნიერესი, ნაყოფიერი და მრავლისმომცველი აღმოჩნდა. ეს იყო საუკეთესო გუნდის მიერ ორგანიზებული პროექტი - ჩვენ ვართ მოქალაქეები, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის ხელშეწყობა. პოლონეთში ვიზიტი ნამდვილად ძალიან საინტერესო და შემეცნებითი აღმოჩნდა. შემიძლია დაუსრულებლად ვილაპარაკო იქ მიღებულ გამოცდილებებზე: ვეწვიეთ უამრავ არასამთავრობო ორგანიზაციას, ქალაქ ვროცლავისა და ძერჟენოვის მერიებს, შევხვდით უშუალოდ ქალაქის მერებს, დეპარტამენტის უფროსებსა და დეპუტატებს. არასოდეს დამავიწყდება ძერჟენოვის მერიის წარმომადგენლის იაროსლავ კრეზას მოკრძალებული დამოკიდებულება ქართველი პოლკოვნიკის ვალერიან თევზაძის მიმართ. მისი სახელისა და გვარის წარმოთქმისას ამ პოლონელ ადამიანს ცრემლები ერეოდა... სხვათა შორის, მოვინახულეთ საქართველოში დაბრუნების მოლოდინში დაღლილი და უცხო მიწაზე გარდაცვლილი ქართველი გმირის საფლავი...

სასწავლო ვიზიტის დროს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი პოლონური სკოლების გამოცდილების გაზიარებაა. ვეწვიეთ პოლონეთის ორ წარმატებულ სკოლას: ქალაქ ძერჟენოვის №3 გაერთიანებულ გიმნაზიასა და ვროსლავის №7 საერო ლიცეუმს. ორივე სკოლაში შეხვედრა იყო ძალიან თბილი და მეგობრული. უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკლასო ოთახები და კაბინეტები, სკოლის პერიმეტრის ყველა სართულზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების დამხარისხებელი ურნები, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი დახურული და ღია სპორტული მოედნები, საინტერესო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები... მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის მიდგომები, მეთოდები და აქტივობები, რასაც ჩვენი პოლონელი კოლეგები ახორციელებენ. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეები სწავლობენ თავიანთი ქალაქის, რეგიონის გეოგრაფიას, ისტორიას, არქიტექტურასა და კულტურას. სწორედ ამ მნიშვნელოვანი საკითხებით იწყება ზოდაგად ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა. ხელოვნების გაკვეთილებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეგიონის თემას, კერძოდ, - მოსწავლეები აკეთებენ რეგიონთან დაკავშირებულ ნივთებს, ხატავენ, აწყობენ გამოფენებს. კლასის დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეებამდე მიიტანონ თავიანთი ქალაქის ისტორია, ეწყობა რეგიონის ცნობილი მწერლების ლიტერატურული საღამოები. მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია მშობლიური ქალაქისა და რეგიონის ტურისტული მნიშვნელობის შესახებ. პედაგოგები ზრუნავენ იმაზე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ სიამაყის განცდა, რომ ისინი არიან სწორედ ამ ქალაქის, რეგიონის მკვიდრნი, ესაა ის ძირითადი ფუნდამენტი, რომელსაც საბოლოოდ პასუხისმგებელ და აქტიურ მოქალაქის ჩამოყალიბებამდე მივყავართ.

იმისათვის რომ გაკვეთილები იყოს შთამბეჭდავი და მრავლისმომცემი პედაგოგები იყენებენ მეთოდს - გაკვეთილი ღია ცის ქვეშ. ხშირად ტარდება ისტორიის გაკვეთილები ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკების ადგილზე, რომ მოსწავლეებმა შეიგრძნონ და აღიქვან რეალობა. ხშირია სასწავლო ვიზიტები ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მუზეუმებში, პარკებში, რეკრეაციულ ზონებში.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამოქალაქო განათლებასა და მოხალისეობრივ საქმიანობას. სკოლები იღებენ სხვადასხვა პროექტში მონაწილეობას, მაგალითად - „სამოქალაქო უფლებების დაცვა ჩვენს ქალაქში„ და სხვა. ქალაქის მასშტაბით ყველა სკოლა ერთობლივად ახორციელებს ისეთ მნიშვნელოვან და აუცილებელ აქტივობებს, როგორიცაა - გაერთიანდეთ ძერჟენოვის გარშემო! - მოსწავლეები წერენ ამ ქალაქის შესახებ თემებს, ეწყობა ნახატების კონკურსები, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები გაჰყავთ რეგიონის რომელიმე კონკრეტულ ღირსშესანიშნავ ადგილზე, ბავშვები ხატავენ ამ ადგილის ხედებს. ეწ

***დასასრული გვ8.**

უნიკალური აღმოჩენა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს შეცვლის



მკითხველმა იცის, რომ გრაკლიანი გორაზე (კასპის რაიონი) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს. თუმცა, სულ ახლახან აღმოჩენილი ახალი არტეფაქტი, მეცნიერთა აზრით, შეცვლის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.

გრაკლიანი გორის გათხრების შედეგად დაფიქსირდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ძვ.წ. VII საუკუნის ტაძარი ორი საკურთხევლით. საკურთხევლის ორივე პოსტამენტზე იკითხება ჯერჯერობით უცნობი დამწერლობის ტექსტები. ახალი აღმოჩენით დასტურდება, რომ 2700 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე დამწერლობა გამოიყენებოდა. ამ ფაქტმა და ადრე აღმოჩენილმა მასალებმა, შესაძლოა, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ისტორიული ცნობებიც შეცვალოს. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიხეილ გიორგაძის განცხადებით, „გრაკლიანი გორის კვლევის პროცესში ახალი აღმოჩენა დაფიქსირდა. ეს არის ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე გაკეთებული წარწერა. ეს უნიკალური აღმოჩენაა, რადგან საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700-წლიან ისტორიას ცხადყოფს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით უდიდეს ინტერესს გამოიწვევს. აქ ტურისტული ინფრასტრუქტურა, ნახევრად ღია მუზეუმი ეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს ძალიან საინტერესო არქეოლოგიური გათხრები დაათვალიეროს".

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალ აღმოჩენილ არტეფაქტებს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი. მისი თქმით, „წარწერა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიციამ აღმოაჩინა გრაკლიან გორაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, მას ანალოგი არ მოეპოვება. რაც ყველაზე მთავარია, იგი განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეს, ე. ი. საქართველოში დამწერლობის ისტორია უკვე ითვლის 2700 წელს. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარი ცივილიზაციების ელიტაში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების მანძილზე. ეს დამწერლობა აღმოჩნდა ტაძარში, რომელიც საკმაოდ კარგად არის შემონახული. ამ ტაძარში გამართულია ორი საკურთხეველი და ორივე მათგანზე აღმოჩენილია წარწერა. ერთზე, რომელიც დასავლეთითაა, თიხით რამდენიმე ასოა გამოყვანილი და მეორე საკურთხევლის პოსტამენტი მთლიანად არისდაფარული წარწერით".

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის განცხადებით: „წარწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცდება საქართველოს მეცნიერების შესწავლის ფარგლებს და საერთაშორისო კვლევის საგანი გახდება. ახალი აღმოჩენა მთლიანად შეცვლის მსოფლიო დამწერლობის ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთს.".

„ჩვენი ქვეყნის ისტორია ასეთი აღმოჩენებით არ არის განებივრებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები დასკვნას უახლოეს პერიოდში დადებენ – თუ რას გულისხმობს ეს წარწერა. ჩვენ ვაგრძელებთ გრაკლიანის არქეოლოგიური გორის ღია მუზეუმად ქცევის სამუშაოებს, მიმდინარეობს გადახურვა და ტერიტორიის კონსერვაცია. ეს ძეგლი იქნება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტულად დატვირთული ობიექტი", – აღნიშნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ.

გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების 300 000-წლიანი უწყვეტი ციკლი დადასტურდა. სხვადასხვა პერიოდის 10 ფენის გათხრის შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები – პირველყოფილი ადამიანების სამუშაო იარაღები, გვიანდელი პერიოდის საკულტო დანიშნულების ნივთები და ფარმაცევტული ხელსაწყო – ე.წ. სპატულა, რომელიც წამლების, ხსნარების შესარევად გამოიყენებოდა, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია. არქეოლოგებმა საინტერესო არქიტექტურული სურათი მიიღეს: იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ერთმანეთზე მიჯრით მიდგმული შენობების ერთი კვარტალი. უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა ძვ. წ. IV ათასწლეულის საბეჭდავები, რომლის ანალოგი სამხრეთ მესოპოტამიაში, ურუქშია აღმოჩენილი; ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ოქროს დისკო, რომლის ერთადერთი ანალოგი არსებობს ქ. სუზაში (ირანი).

მნიშვნელოვანი და საინტერესოა რამდენიმე საკულტო ოთახი. მათ შორის, საკულტო წისქვილი – 3 ცალი საინტერესო კონსტრუქციის ხელსაფქვავი, რომელშიც წმინდა ფქვილი იფქვებოდა, რომლითაც ღმერთებისთვის შესაწირ პურს აცხობდნენ. მსოფლიოში არ მოიპოვება გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ტაძრის საკურთხევლის ბაქნის ანალოგი, რომელიც დიდი დედის კულტთან არის დაკავშირებული. დიდი დედა, იგივე ღმერთების დედა საკურთხეველთანაა გამოსახული.

შურთხია ბეროშვილი.

გრაკლიანი გორის არქეოლოგიური ძეგლი ცხინვალში, შიდა ქართლის მხარეში, ყვავის მუნიციპალიტეტის ცოფ. იგოეთის და ცხმოლოვის ტერიტორიაზე, მდ. ლიხურის მარჯვენა ნაპირზე წყმომარეთულ გორაზე, ფეშალოლი თბილისი-ცინვალი-ლიხვინი-ბორჯომის გზაცილოთან. აღმოჩნდა 2008 წელს გზაცილის გაფართოებასთან დაკავშირებით ჩატარებული გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრების დროს. არქეოლოგიური ძეგლი წარმოადგენს მრავალფეროვან ნამოსახლარს და ცხმარეულს. აღმოჩენილი მცირე მიკროთვალებს ცხვალცხვა ჰერიოდის ჰალიოლითიდან ძ.წ. II-I ცუყუნეებამდე. რიდეცაც გრაკლიან გორაზე ადამიანის აქტივობა ფინდა ადრეულ ბრონზაზე. 2015 წელს გრაკლიანი გორაზე ერთოვნული ყაფეგორიის ძეგლის ცალი მიენიჭა.

*2015 წელს გორაზე ძ. წ. აღ. VII ცუყუნის ფაძარი, ორი ცუყურთხეველი და ცუყურთხეველის ჰოსტამენტზე ფალიმდე ფაბი ფალიმდე ფალიმდე ფალიმდე

ყმაწვილი ბორჯომის ქუჩიდან

იტალიელი (მილანელი) დონარომა 16 წლისაა, ქართველი (კასპელი) ქავთარაძე – 14-ისა. ჯერ არც ერთის გვარი არ გსმენიათ?

პირველს ჯანლუიჯი ჰქვია და, ჯერაც სკოლის მოსწავლე, "მილანის" ძირითადი გუნდის კარს იცავს, თანაც ისე, რომ ზოგჯერ გოლსაც არ უშვებს. მის მამას, როგორც ჩანს თანამემამულე ბუფონის თამაში მოსწონდა და ბიჭსაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის საპატივსაცემოდ დაარქვა სახელი.

ჩვენებური ნიკა ქავთარაძე მეცხრეკლასელია. საჯარო სკოლაშიც კარგად სწავლობს და საფეხბურთო სკოლაშიც პერსპექტიული მოთამაშეა. მისმა გუნდმა, რომელსაც შავლეგ მაჭარაშვილი ავარჯიშებს, საქართველოს რეგიონული გათამაშების წინა ჩემპიონატში მე-2 ადგილი რომ დაიკავა, ეს ნიკას დამსახურებაცაა, როგორც მეკარისა... ჭაბუკს თავისი საყვარელი მეკარეები ჰყავს: მისი ფავორიტები არიან ესპანელი დავიდ დე ხეა, რომელიც ახლა ინგლისური გუნდის კარში დგას, და ქართველი გიორგი ლორია.

ნიკას ამას წინათ დასახმარებლად მიაკითხეს ბორჯომის ქუჩის ბიჭებმა. საქმე ისაა, რომ ვარჯაანის დასახლების მინიფეხბურთელთა გუნდმა "ნატბეურამ" რაიონის პირველობაზე მეტოქესთან ერთი თამაში პირწმინდად დათმო და მეორეში კარის დაცვა თანაუბნელ ნორჩ მეკარეს მიანდო, – შენ იცი და შენმა ბიჭობამ, გვიშველე რამეო!

... და, მართლაც, ყმაწვილი მეკარე შეუვალად იდგა მთელი მატჩის განმავლობაში "ნატბეურას" კარის დარაჯად, გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული მეტოქე გუნდის წინააღმდეგ. ნიკამ იმდენად იყოჩაღა, იმდენი დარტყმა მოიგერია და იმდენი საგოლე მომენტი განმუხტა საკუთარ კართან, თამაში დამატებით დროში გადააყვანინა თავის გუნდს. მართალია, პირველობის ფავორიტმა ახალქალაქის გუნდმა ბოლოს მაინც გამოგლიჯა გამარჯვება, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა მატჩის გმირი ხდება ხოლმე წაგებული გუნდის გოლკიპერი... ნიკა კი, არა მარტო იმ მატჩის, არამედ მთელი ტურნირის საუკეთესო მეკარედ (ასევე, ყველაზე ნორჩ მონაწილედ) აღიარეს და სპეციალური პრიზიც გადასცეს.

– ყოჩაღ, ნიკა! გმირი ხარ, გმირი! – გულშემატკივრებმა თამაშის შემდეგ ასეთი შეძახილებით შეაქეს პატარა მეკარე და გულში ჩაიკრეს. ეს კი უკვე ავანსია მაყურებლის მხრიდან.

ყმაწვილმა მეკარემ ერთ-ერთ ვარჯიშზე ხელის თითები დაიზიანა და თაბაშირის სახვევი დაადეს, მალე მოირჩინა და ისევ ჩადგა კარში... 11 ნოემბერს, თავისი დაბადების დღეზე (14 წელი შეუსრულდა), სოფელ სამთავისში, იქაური თანატოლების წინააღმდეგ მეგობრულ მატჩში, მისეული შემართებით იდგა კარის ხაზზე.

ვინ ოცნებობს საფეხბურთო ტელეკომენტატორობაზე...

L'HORTA

Paterna presenta un proyecto para fusionar los seis clubes de fútbol locales en uno solo

საფეხბურთო ქვეყნებს შორის ესპანეთი სახელმწიფო გრანდია, იქაური ფეხბურთი ერთ-ერთი უძლიერესია მთელ მსოფლიოში. რაც მთავარია, ესპანური ასაკობრივი ნაკრებების მძლავრი ტალღა მოდის, რაც ნიშნავს, რომ იქ ნორჩ ტალანტებთან უსერიოზულესად მუშაობენ და ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში აღზრდა-დაოსტატების ისეთი პირობები აქვთ, როგორსაც საქართველოში ვერც კი წარმოვიდგენთ.

... ასეა ქალაქ სანანტონიოშიც, რომელიც მთელ სახელმწიფოში მიჩნეულია შეძლებული, ბობოლა ხალხის საცხოვრებელ მხარედ. სხვა ქალაქებთან შედარებით იქ ნაკლები ქართველობაა. უკვე თოთხმეტი წელია, რაც სანანტონიოში დამკვიდრდა კასპელი ახალგაზრდების – გიორგი გიგაურისა და ნინო ავალიანის ოჯახი. დედ-მამას მზე ამოსდის შვიდი წლის ვაჟიშვილზე, ვაკო ესპანეთშია დაბადებული. ბიჭუნას ფეხის ადგმისთანავე იტაცებდა ბურთის გორება. კოჭებშივე ეტყობოდა, რომ მობურთალი გახდებოდა. მამის თვალს ბიჭუნას მონაცემები არ გამოეპარა და იქაურ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში შეიყვანა. უკვე ორი წელია, რაც ვაკო გიგაური ჩარიცხულია შვიდწლიანთა ჯგუფში და ესპანელ თანატოლებთან ერთად აგორებს ბურთს. თანაც, არა მარტო აგორებს... როგორ ივარგებს ქართველი ბიჭუნა ესპანურ ფეხბურთში, ახლო მომავალში ვნახავთ...

... ახლა კი ესპანურ მეორე ქალაქში, კარლეტში, გადავინაცვლოთ, სადაც კიდევ ერთი ჩვენებური ყმაწვილი, თორმეტი წლის ლუკა მერებაშვილი, ვარჯიშობს იქაურ საფეხბურთო სკოლაში. მწვრთნელებმა პატარა ლუკა მცველის პოზიციაზე გაამწესეს, ის პერსპექტიულ მოთამაშედ ყალიბდება. ლუკას ფეხბურთში თავის გამოცდა სხვა მხრივაც გადაუწყვეტია. იგი სპორტულ ჟურნალისტობაზე ოცნებობს, უკვე შეარჩია რამდენიმე საფეხბურთო ტელეკომენტატორი და ძალიან სურს, მათ მიბაძოს.

ერთსაც გეტყვით, ლუკას უფროსი ძმა, გია მერებაშვილი, ქალაქ ვალენსიის უნივერსიტეტში სწავლობს, ჯერ პირველ კურსზეა, იგი მომავალი ბიზნესმენია. ისიც ფეხბურთის დიდი მოტრფიალეა, ოღონდ ეგაა, რომ საყვარელი თამაში გვერდზე გადადო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გამო. ცხადია, მშობლები – ზაზა მერებაშვილი და შორენა გიგაური – ლუკასა და გიას ჩანაფიქრების ასრულების გარანტორები არიან.

p.s. კასპელ-ესპანელი შვილიშვილების შესახებ სიამაყით მიამბო ჩემი თაობის კასპელმა პაპამ, რომან გიგაურმა.

სურათებზე: ლუკა და გია მერებაშვილები დედასთან ერთად; ესპანურ პრესაში რამდენჯერმე უკვე დაიწერა ვაკო გიგაურის გუნდის შესახებ (პატარა ქართველი სურათზე მარცხნივაა).

ტყუპი ძმები ერთ კვარცხლბეკზე

დანიელი და დავითი ჰქვიათ ტყუპ ძმებს – მარქარაშვილებს. ისინი კასპის №2 საჯარო სკოლის XI კლასში სწავლობენ.

"დავითი" ქართველობაში საკმაოდ გავრცელებული სახელია, "დანიელს" კი მშობლები იშვიათად არქმევენ ახალშობილ ვაჟებს. ამიტომაც ვკითხე ტყუპიდან თხუთმეტიოდე წუთით უფროსს, დანიელს, – პაპების სახელები ხომ არ გქვიათ-მეთქი? არა, აღმოჩნდა, რომ მოჭიდავე ძმები ბიბლიური დანიელისა და დავითის მოსახელენი არიან.

ძმები ახლა თანაბარი წონისანი არიან და ამიტომაა, რომ ხშირად ერთ წონით კატეგორიაში ასპარეზობენ, თუკი, რა თქმა უნდა, მწვრთნელი თემურ გაბოძე შეჯიბრებაზე ორივეს იახლებს.

აკი წლევანდელ შუა ოქტომბერში ასეც მოხდა: კასპის საჭიდაო სკოლის თავისუფალი სტილის ჭაბუკი მოჭიდავენი ქ. საგარეჯოში გაემგზავრნენ მწვრთნელთან ერთად. იქაური ცნობილი მოჭიდავის – თავისუფალ ჭიდაობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის პრიზიორის – გიორგი გზირიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში 10 კასპელმა იჭიდავა. 5 მათგანი გამარჯვებულთა კვარცხლბეკის საფეხურებზე დადგა: 3 ჩემპიონის რანგში, 2 კი პრიზიორისა.

გაიცანით ჭაბუკი ჩემპიონები: 47 კილოგრამი – ტარიელ მიდელაშვილი (№2 სკოლა, IX კლასი), 63 კგ. – დანიელ მარქარაშვილი, 76 კგ. – ედი ბუღულაშვილი (სოფელ იგოეთის სკოლა, X კლასი).

საგარეჯოს წარმომადგენლობითი ტურნირის მესამე პრიზიორი გახდა, ასევე, იგოეთელი მიხეილ ხუციშვილი (IX კლასი), რომელიც 53 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა. აი, 63 კილოგრამამდე წონის მოჭიდავეთა შორის კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კი იდგა დავით მარქარაშვილი – პირველადგილოსანი დანიელის ტყუპისცალი.

ტყუპი ძმები ერთ კვარცხლბეკზე! – სწორედ რომ ამაღლებული განწყობის გამომწვევი მომენტია, თვალისათვის – საამოდ საყურებელი სურათი... ისეთი შემთხვევა, როცა ტყუპი ძმები მხარდამხარ მდგარან დასაჯილდოებლად, აქამდეც მომხდარა. მაგალითად, მშობლიური ქალაქის ერთ-ერთ ტურნირზე ისინი სულაც ფინალურ შეხვედრაში დაეჭიდნენ და პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს, ერთხელაც, თბილისში, როგორც ახლა საგარეჯოში, პირველი-მესამე ადგილები დაიკავეს.

მწვრთნელი თემურ გაბოძე ფრიად კმაყოფილია შეგირდების წარმატებით. ის დამატებით ცნობასაც გვაწვდის: გუნდის კიდევ ერთმა წევრმა, ვალერი ზანგურმა, იჭიდავა მესამე ადგილისათვის, ოღონდ მეტოქე ვერ დაჯაბნა. და, მაინც, კასპელთა ესოდენი მიღწევით სახტად გაკვირვებული დარჩნენ სხვა გუნდების მწვრთნელები და სპეციალისტები და ჩვენი

*დასასრული გვ7..

„ზამბეზია“ – ცხრაკუნა გასართობი ცენტრი

ცოტა ხნის წინ კასპში, ქეჩარუხის უბანში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბავშვო გასართობი ცენტრი “ზამბეზია”. კომფორტული, უმაღლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბავშვო დაწესებულების სანახავად პატარებთან ერთად, რა თქმა უნდა, მათი მშობლებიც მოვიდნენ და დაუვიწყარი ზეიმიც გაიმართა... ლამაზად მორთული, ათასგვარი სათამაშოებით დამშვენებული მოზრდილი დარბაზი სტუმრებს ძლივს იტევდა. პატარების და არა მხოლოდ მათი გულების გასახარად სცენაზე კოპწიაობდნენ ბავშვების საყვარელი ზღაპრების გმირები, ბავშვებისათვის სპეციალურად შედგენილი მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა ყველას ხიბლავდა. სტუმარ-მასპინძლებს შეძახილებით ამხნევებდა, პატარებს ეფერებოდა დიჯეი (გოგა აზმაიფარაშვილი), რომელიც ამ საღამოსთვის მოწვეულ ჯამბაზებს სტუმრების გართობას ავალებდა, ერთი სიტყვით, იმ საღამოს ვერავინ მოიწყენდა.

– მოგეხსენებათ, ნებისმიერი სიახლე თუ წამოწყება, თანაც ისეთი, რომელიც პატარების, მომავალი თაობის ზრუნვასთან ასოცირდება, საზოგადოების დიდ ინტერესსა და ყურადღებას იპყრობს, – განაცხადა ცენტრის საზეიმო გახსნაზე სტუმრობისას კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, – ჰოდა, ამჯერადაც ზუსტად ასე მოხდა. როგორც ხედავთ, ახლადგახსნილ

საბავშვო ცენტრს ხშირად სტუმრობენ პატარები, რომლებიც აქ იხდიან დაბადების დღეს და თანატოლებსაც აქ უმასპინძლდებიან.

– სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის, უფრო ზუსტად ორი წლიდან 15 წლის ასაკის მოზარდებისათვის შექმნილი გვაქვს სპეციალური, ასაკისთვის შესაფერისი გასართობი პროგრამა, – საუბრობს ცენტრის ხელმძღვანელი ბესიკ ცინცაძე, – არა აქვს მნიშვნელობა, ბავშვი აქ დაბადების დღეს აღნიშნავს თუ რაიმე ღირსშესანიშნავ თარიღს ზეიმობს თანატოლებთან ერთად, მთავარია, რომ ზეიმის გასართობი ღონისძიება მათი შეკვეთისა და სურვილის გათვალისწინებით იგეგმება.

როგორც საბავშვო გასართობი ცენტრის ხელმძღვანელებთან საუბრისას გაირკვა მარტო კასპელ ბავშვებს კი არა, მთელი ჩვენი რაიონის პატარებს ძალიან დიდი სიამოვნება ელით. საქმე ის გახლავთ, რომ უკვე

მიმდინარეობს მოლაპარაკება დედაქალაქის თოჯინების თეატრების მესვეურებთან, შეთანხმებისთანავე აქაურები მარტივად და შორსწაუსვლელად, ხელმისაწვდომ ფასად აქ ნახავენ მათთვის სასურველ სპექტაკლს. ასე რომ, გასართობი ცენტრი ნამდვილ კულტურულ დაწესებულებად იქცევა, ყოველ შემთხვევაში ამის დიდი სურვილი და მოტივაცია იგრძნობა.

ნანა ონეზაშვილი – ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩვენს ქალაქში ასეთი დონის გასართობი ექნებოდათ პატარებს. ორი შვილიშვილი მყავს, ნამდვილად მოვიკლებ ყველაფერს და მათ გასახარად სწორედ ამ დაწესებულებაში მოვიპატიჟებ ჩემი შვილიშვილების თანატოლებს, რადგან ცენტრის გახსნის დღეს თავად დავრწმუნდი, აქ ბავშვები კარგად გაერთობიან, ისიამოვნებენ და დიდხანს ემახსოვრებათ ეს დღე, რაც ყველაზე მთავარია, აქ უფრო ადვილი და ხელმისაწვდომია მათი გამასპინძლება, ვიდრე მაგალითად, თუნდაც საერთო ბინაში.

აბა, წარმოიდგინეთ, 10-12 ბავშვის /ზოგჯერ უფრო მეტის/ სახლში მიღება-გასტუმრება, თვალყურის დევნება, რა საპასუხისმგებლოა. აქ კი სპეციალურად პატარებს რამდენიმე დამხმარე და მეთვალყურე ადევნებს თვალს, ბავშვები მშვენივრად ერთობიან ცეკვა-თამაშით, ტკბილეულსაც შეექცევიან და ერთ-ორ საათში შინ კმაყოფილი მიჰყავთ მშობლებს, თან ეს ყველაფერი, თუ დაიანგარიშებთ, არც თუ ისე ძვირი ჯდება.

ხათუნა კობაიძე – თბილისში რომ გინახავთ, ლამაზი დიზაინით გაფორმებული, ახალთახალი, ქათქათა ინ-

ვენტარითა და სათამაშოებით დამშვენებული საღღესასწაულო დარბაზი თავისი მინიატურული სცენით, აი, ზუსტად ისეთი სასიამოვნო და სახალისო გარემო დაგხვდებათ კასპის საბავშვო გასართობ ცენტრში. ენით აუწერელ სიხალისესა და განუმეორებელ სილაღეს განიცდიან აქ მოსული პატარები გასართობ ატრაქციონზე, მოზრდილი გოგო-ბიჭებიც მშვენივრად ერთობიან შესაფერისი მუსიკითა და თეატრალიზებული წარმოდგენით.

ერთი სიტყვით, ცენტრის გახსნიდან სულ რამდენიმე დღეში სწორედ მე მომიწია აქ ბავშვისთვის ზეიმის გამართვა და ძალიან კმაყოფილიც დავრჩი. აბა, წარმოიდგინეთ, დაბადების დღეზე 27-მა ბავშვმა მოიყარა თავი, თან რვა მშობელიც ესწრებოდა, ამდენი ხალხი სახლში რომ მიმეწვია, უფრო მეტი ენერგია და ორგანიზება დამჭირდებოდა. არადა, აქ ყველაფერმა ლამაზად, მოხერხებულად ჩაიარა, ის თანხა კი, რომელიც დარბაზის დასაქირავებლად გადავიხადე, ნამდვილად აღარ არის სალაპარაკო, რადგან ბავშვებმა ძალიან კომფორტულად იგრძნეს თავი, საკონცერტო პროგრამაც ისე იყო შედგენილი, რომ ვიცი, ბავშვებს დღემდე ახსოვთ დაბადების დღის ემოცია.

ნანა მუზაშვილი – სხვას რომ ეთქვა, ალბათ, ნაკლებად სარწმუნო იქნებოდა ჩემთვის, მე თავად დავრწმუნდი, რომ ეს ახალი, ბავშვებისთვის განკუთვნილი კულტურული დაწესებულება ბევრ ოჯახს წაადგება. მართალია, იგი ქალაქის ცენტრიდან ცოტა მოშორებითაა, მაგრამ იმდენად მოხერხებული, შეღავათიანია თითქმის ყველა ოჯახისათვის, მშობლებს ნამდვილად უღირთ ამ დარბაზის დაქირავება, რადგან თანხა ყველასთვის ხელმისაწვდომია, რაც მთავარია, ბავშვების გულს აუცილებლად მოინადირებთ, ეს ხომ ყველას ინტერესებში შედის.

რ. ქართლელიშვილი.

გამოგვიგზავნეთ

ვიდამიანი ცოცხლის განმავლობაში მრავალი ფცხოური, მოფლოდნელი თუ ვუხცნელი მოვლენის მოწმე ხდება. ფმიდის შემთხვევაში ვრ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ვრობთ იმის შიშით, რომ შეიძლება ვრცნწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხარ მომსწრე ვუხცნელი, ფცხოური, შეფცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვწოლთ ამ ფაქტის ამცხადილი ვიდეო, ფოტო მასალა თუ გაგვიმზილოთ ცხოვრები იმოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შეცნწ"ვლის შემდეგ, თუ იგი ცხინდერისა იჯნება ფანრთო ვალიდურობისთვის, ფითხვილისთვის, გამოჭვეულება გაბეთში რეფაბრიკით „შეფცნობელი...“

ცოჯილების შემთხვევაში შეგვიძლია თჯვენს მიერ შემოთვაზებული წერილი გადავცეთ ეფირნალ „ფერნომენს“, და შეცნბამცლა ვაფორმირ ფეფინალ ფეფინალ ფეფინალ.

ჩვენ თჯვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ფფეილ-მართალი. ყითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ ჭეშმარიტ მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების ფუნ შეიძლება იმალებოდეს ჭეშმარიტ ჩვენთვის ცანდერესა ყითხვებზე, მოვლენებზე.

ტყუპი ძმები ერთ კვარცხლბეკზე

***დასასრული.**

ჭაბუკები სათანადოდ შეაქეს.

თემურ გაბოძემ, რომელიც ახალგაზრდობაში სწორედაც რომ ძმასთან, გოჩასთან, ერთად გამოდიოდა ხოლმე საქართველოს ჩემპიონატებში, ისიც დაგვიზუსტა, რომ განსაკუთრებით გახარებულია თავისი მოწაფის – ტარიელ მიდელაშვილის გაჩემპიონებით, რომლისთვისაც რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებაში ეს გამარჯვება პირველია, იგი მომავალში მისგანაც მოელის წარმატებებს და – აქ კი პარალელი უნდა გავავლოთ ზემონახსენები ტყუპი ძმები მარქარაშვილების მაგალითთან – მისივე ტყუპისცალი ძმისგანაც, ვახტანგისაგან! დიახ, ამჯერად გუნდში ისიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე ვახტანგმა ვარჯიშის დროს ხელი დაიზიანა და ქირურგიული ჩარევა დასჭირდა... ისე კი, ძმები მიდელაშვილების საშეჯიბრო გზები ჯერ არ გადაკვეთილა. ასე რომ, სამერმისოდ არც ისაა გამორიცხული, კვარცხლბეკის საფეხურებზე ისინიც მხარდამხარ დადგნენ.

სურათზე: ძმები მარქარაშვილები კვარცხლბეკზე გვერდიგვერდ დგანან – ცენტრში ჩემპიონი დანიელი დგას, მესამე საფეხურზე კი დავითი.

ა. კალანდაძე.

გამოიწერეთ “ახალი განთიადი” გახლით ჩვენი მკითხველი!

სასწავლო ვიზიტით პოლონეთში

***დასასრული. დასაწყისი გვ4.**

ყობა ფილმების კონკურსი რეგიონის თემაზე. ახალგაზრდა პოეტებისთვის ტარდება საქალაქო კონკურსები - ,,ჩემი ქალაქი ჩემი სახლია,,.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონკურსმა ,,სოვიეგორსკის ზღაპრები,, - მოსწავლეები ცნობილი და გავრცელებული პოლონური ლეგენდებიდან ირჩევენ ერთ-ერთს და ამ თემაზე, საკუთარი ფანტაზიით წერენ ზღაპრებს. ასევე საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის კონკურსი ,,გულით დაწერილი ცოცხალი ისტორიები,, - კონკურსის ფარგლებში მოსწავლეები წერენ თავიანთი ბებიებისა და ბაბუების შესახებ ისტორიებს. საინტერესო და მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლებში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, ჩემთვის სიახლეს წარმოადგენდა ქალაქ ძერჟენოვის გიმნაზიაში არსებული ტურისტული წრე - მოსწავლეები გადიან სალაშქროდ სხვადასხვა ტერიტორიაზე, ეცნობიან ამ ადგილის ისტორიებს, წერენ ესეებს, აქვთ სპეციალური ბლოგები. დიდი ყურადღება ექცევა ეკოაქციებს. ჩვენთვის საინტერესო და მისაბაძ ინიციატივას წარმოადგენდა კონკურსი ელემენტების შეგროვებასთან დაკავშირებით - რამდენიმე სკოლაში დაიდგა სპეციალური ყუთი სადაც, გარკვეული დროის მანძილზე უნდა შეეგროვებინათ ელემენტები, კონკურსის დასასრულს გამოვლინდა გამარჯვებული სკოლა.

სკოლებს ინტენსიური ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ეწყობა სასწავლო ვიზიტები ქალაქის მერიაში. ხელისუფლების ხელშეწყობით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იმართება მოსწავლეთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენები, ფლეშმობები.

ყოველწლიურად სკოლების ინიციატივით ტარდება აქცია ,,ჩავეხუტოთ ჩვენს ქალაქს,, - მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ ცოცხალ ჯაჭვს ... საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა სკოლების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებში. მათ უკვე ჰყავთ დამეგობრებული სკოლები გერმანიასა და ჩეხეთში. სწორედ პოლონეთის სასწავლო ვიზიტის დროს გამიჩნდა დიდი სურვილი განვახორციელო ქართველი და პოლონელი მოსწავლეებისათვის კულტურათა გაცვლითი პროექტი. პოლონურმა მხარემ მოიწონა ინიციატივა, ყველაფერი წინაა ...

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ სასწავლო ვიზიტმა პოლონეთში, როგორც პედაგოგს, მოქალაქესა და პიროვნებას ბევრი რამ შემძინა. მინდა მადლობა გადავუხადო ამ პროექტის ორგანიზატორებს, იმისთვის, რომ მოგვცეს საშუალება სამოქალაქო განათლების პედაგოგებს პროფესიული განვითარების ზრდისა, მადლობა დიდი სითბოსთვის და თანამშრომლობისათვის.''

რუბრიკა – "წელიწადის მეხუთე დრო"

ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები (ელექტრონული ვერსია) და გაიცანით ისინი საზოგადოებას.

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,, და გახდით ჩვენი მკითხველი

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი

ალექსანდრე (კახა) კახიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება თანაუგრძნობს მაია ნიკლაურს მამის

გრიგოლ ბარნოვის გარდაცვალების გამო.

მკითხველს შეუძლია მოგვანოდოს სავტორო კროსვორდი, შემეცნებით-გასართობში მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

თოდო-მაციანი

,,ახალი განთიადი,, იძლევა საინფორმაციო ფურცლის საგაზეთო რუბრიკის საგაზეთო თოდოფაციანის შეცვალოდა. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მაციანიში! გამოგვიგზავნეთ საინფორმაციო და ცხალი თოდოები!

... თუ მშობლებს არ სურთ

გასულ წლიდან მოყოლებული სულ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურთ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მარწლად, ბევრ საინტერესო და საჭირო ინფორმაციას მოიკრებთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ აცრაქციონებზე, ნაკლოვანებებსა საინტერესოებსა და მალულ საგანძურზე...

ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმონერა, დაფოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს

,,კეხურა,,

,,მაყნაცდუნა,,

ბავშვობაში ნათქვამი ,,ფრთიანი ფრაზები,, მთელი ცხოვრება ალეგორიებად მოგონებებმა, ისინი ლამაზურებულად იკვიბენ ალგილად ოჯახურ ,,ოკრიბა ფონდში,, თითბილან თითბან გალიტემიან ლა ყველა შინაურული თავყრილობებ მთავარი ცხალიცა ცაბონი ბლიბიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის ცაინტერესო წუთები ჩვენ რუბრიკაში ,,მაყნაცდუნა,, ლა გახლით ცაცოცხალი ცეუმანი.

შეგიძლიათ, მოგვანოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

გამოგვიგზავნეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობ ყველა ცალკეული ადგილი თუ ეკლესია ცალკეული ადგილი ლა ვწერთ. ეკლესიაც ვეძიებთ ცალკეული ადგილების ცალკეული ადგილი ეკლესიაც ლა ვწერთ.

2015-2016 ცალწლეულის ეროვნულ-მოსწავლეთა შეცვალებლობაც გაჭვთ გაზეთში გამოვაქვეყნოთ მშობლიურ ცალკეული მილიონერები, გაზეთის თურმეტლეებ ცალკეული ეროვნულ-მაცენატებ. ცალკეულებ ცალყოფილი ლა უმშვენიერესებ წლებს ვეცდებით ცალკეულ ეროვნულ-მაცენატებ. ეროვნულ-ეროვნული ცალმავლო გეგმები, ყველაფერ გაკვლეთ ეროვნულ-ეროვნული ცალკეული, ვალკეულ თუ ვალკეულ ჰელეგეგები, გვიამბით ცალ ლა ეროგორ ცალწავლეთ, ეროთი ვმაყობთ, ეროვ გალკეულ.

გაკვლენით თანამოაზრეებ თქვენი ყურადღებით ალეგორიები, ერომელებიც ვეროვ-მაცენატებ.

ცალკეულებ ალეგორიებ ცალყოფილებ ლა უმშვენიერესებ წლებს ვეცდებით ალეგორიებ ეროვნულ-ეროვნული ალეგორიები, ეროთ ალეგორიებ ეროვ-ეროვ ალეგორიებ ეროვ-მაცენატებ.

გამოგვიგზავნეთ!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76